



## სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	თბ „რაშები“ - თბ „ივერია“		
გუნდი	თბ „ივერია“	შეჯიბრი	რეგიონული ლიგა
მატჩის თარიღი	29.01.2022	მატჩის ადგილი	თბილისი, ვაზიუბანი
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
მოთამაშე/პიროვნება	მოთამაშე	დაბადების თარიღი	2/13/1991
სახელი, გვარი	გიორგი ქოიავა		
მომჩივანი	მატჩის მსაჯი ნინო ელოშვილი	საჩივარი	✓ მიღებულია უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 5.5 და 5.18 ბ) ; დანართი #1 <b>9.28 მოთამაშემ არ უნდა გამოიჩინოს უპატივისმცემლობა მატჩის ოფიციალურ პირთა ავტორიტეტის მიმართ</b>	✓ წითელი ბარათი საითინგი სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	03.02.2022	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი, თბილისი ქ.ამირეჯიბის#6
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაძე, ირაკლი ჩიქავა, აკაკი კერესელიძე.		
დამრღვევის დასწრება	✓ კი არა	სხვა დამსწრეები :	კი არა
დამრღვევის წარმომადგენელი	არა	აღნიშნუთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მსაჯის ნ.ელოშვილის წითელი ბარათის ოქმი 29.01.2022		



**დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).**

1. მატჩის მსაჯის ნ. ელოშვილის წითელი ბარათის ოქმი 29.01.2022
2. თბ „ივერია“-ს მოთამაშის გიორგი ქოიავას სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი 02.02.2022
3. მატჩის მსაჯის ნინო ელოშვილის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი 03.02.2022

**დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)**

არა

**დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება**

თბ „ივერია“-ს მოთამაშე გიორგი ქოიავა არ დაეთანხმა მსაჯის გადაწყვეტილებას წითელი ბარათით მისი მოედნიდან გამეგების შესახებ. განმარტა, რომ მისი აღშფოთების მიზეზი იყო არაკომპეტენტური მსაჯობა. აღიარა მსაჯებთან კამათი და მათი გადაწყვეტილებების გაპროტესტება რეპლიკით „თვალები გაახილე!“ და „ასეთი თამაშის დედაც ვატირე“.

**ფაქტობრივი მოცემულობა**

1. 29.01.2022 გაიმართა რეგიონული ლიგის VIII ტურის მატჩი თბ „რაშები“-სა და თბ „ივერიას“ შორის.
2. თამაშის 50-ე წუთზე მატჩის მსაჯმა ნინო ელოშვილმა თამაშის წესის დარღვევისთვის დააჯარიმა თბ „ივერია“-ს მოთამაშე გიორგი ქოიავა(#22) რომელმაც (ციტირება წითელი ბარათის ოქმიდან) :**“ჩემი გადაწყვეტილება გააპროტესტა ხმამაღალი ყვირილით და ხელების შლით, ამ რეაქციის გამო დავაპირე ყვითელი ბარათის მიცემა. ეს რომ შენიშნა უფრო გაღიზიანდა, გამოხატა ყვირილით და წიხლების ყრით, თან თქვა „გამაგდე ამის დედაც მოვტ...“ შეეცვალე სანქცია წითელი ბარათით.“**

სადისციპლინო კომისიამ გაითვალისწინა თბ „ივერია“-ს მოთამაშის გიორგი ქოიავას პოზიცია, კერძოდ:

1. გიორგი ქოიავა არ დაეთანხმა მსაჯის გადაწყვეტილებას წითელი ბარათით მისი მოედნიდან გამეგების შესახებ.
2. გიორგი ქოიავამ არ გამოთქვა წუხილი მომხდარი ინციდენტის გამო.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 5.5, 5.18 ბ) და მე-12 მუხლის შესაბამისი პუნქტებით, სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-თ(9.28) და ხმათა უმრავლესობით მიიღო

გადაწყვეტილება			
დარღვევის სტატუსი:	✓ მიღებულია	უარყოფილია	სხვა (აღწერეთ)



**სანქციების პროცედურა**

**დარღვევის ხარისხის შეფასება. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციების დანართი 1 -ის და/ან დანართი 2-ის მიხედვით**

ზედა ზღვარი \* კვირა. შუა ზღვარი კვირა **ქვედა ზღვარი 2(ორი) კვირა** ✓

\*ზედა ზღვართ შეფასების დროს სადისციპლინო კომისია კვირების რაოდენობას განსაზღვრავს ზედა და მაქსიმალურ ზღვარს შორის.

**შესაბამისი შემამსუბუქებელი ფაქტორები:**

დამრღვევის მიერ დანაშულის/შეცდომის აღიარება და აღიარების დრო;	დადებითი სადისციპლინო ისტორია და/ან დადებითი რეპუტაცია;
არა	
მოთამაშის ახალგაზრდობა და გამოუცდლობა;	ქცევა განხილვამდე და განხილვის პროცესში;
არა	არა
დამრღვევის მიერ ჩადენილი საქციელის გამო სინანულის გრძნობის ე.წ. მსხვერპლისთვის დემონსტრირება და ამ დემონსტრაციის დრო;	ნებისმიერი სხვა შემამსუბუქებელი გარემოება
არა	

**დაკლებული კვირების რ-ბა: არა**

**შესაბამისი დამატებითი დამამძიმებელი ფაქტორები:**

მოთამაშის / პიროვნების უარყოფითი სადისციპლინო ისტორია;
არა
დარღვევისგან თავის შეკავების ვალდებულება;
არა
ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი გარემოება;
არა

**დამატებითი კვირების რ-ბა: არა**



## სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)	2 (ორი) კვირა	წითელი ბარათი საკმარისია
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	04.02.2022	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი	რეგიონული ლიგის მიმდინარე გრაფიკით <b>სავარაუდოდ 28.02.2022.</b>	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	დისკვალიფიცირებულ მოთამაშეს, დისკვალიფიკაციის პერიოდში ეკრძალება თამაშის დროს ყოველგვარი აქტივობა სათამაშო სივრცეში, სრკ-ს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში ნებისმიერ დონეზე.	

სრკ-ს წევრ სუბიექტზე დაკისრებული ფულადი ჯარიმადა ჯარიმის გადახდის ვადა	
U16-U18 და მოყვარულთა დონის გუნდებისათვის ფულადი ჯარიმის 7 კალენდარულ დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში - დასაკლები საცხრილო ქულების რაოდენობა	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	03/02/2022
--------------------------	-------------------------	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო საბჭოში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.